განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ჟურნალისტიკის საგანმანათლებლო პროგრამა
ბაკალავრიატი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
28-29 .09.21

დასკვნის წარდგენის თარიღი

25.11.2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	201951637
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ჟურნალისტიკა
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით, მე-VI დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ჟურნალისტიკის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0321 ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული ენა
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #684) 2012 წ.

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო შოშიტაშვილი , გრ. რობაქიძის სახ. უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანა ქეშელაშვილი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი(GIPA), საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქრისტინე ჩიხლაძე, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა ფირცხელანი, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საგანმანათლებლო პროგრამამ წინა აკრედიტაცია გაიარა 2012 წელს (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #684). პროგრამის მიზანია თანამედროვე ჟურნალისტიკის სტანდარტების შესაბამისი პრაქტიკოსი ჟურნალისტის მომზადება, რომელიც აღჭურვილი იქნება როგორც თანამედროვე მედიასივრცის, ისე ბაზრის მოთხოვნების შესატყვისი თეორიული ცოდნით, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პრინციპებითა და პროფესიული უნარ-ჩვევებით. პროგრამის ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელია (8 სემესტრი) და მოიცავს 240 კრედიტს. პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას და მოიცავს: პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სწავლებას; პრაქტიკას სპეციალობაში; საბაკალავრო ნაშრომს სპეციალობაში (მომზადებასა და დაცვას). პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 19 აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი. მათ შორის 3 პროფესორი, და 16 ასოცირებული პროფესორი, მოწვეულია 20 ლექტორი. ზემოაღნიშნული აკადემიური პერსონალიდან, აფილირებულია 3 პროფესორი და 13 ასოცირებული პროფესორი. აქტიური სტუდენტების რაოდენობა - 117, პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა ბოლო 5 წლის მანძილზე სტაბილურია (30), თუმცა მცირეა პროგრამაზე გამოცხადებულ სტუდენტთა ადგილებსა და პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ პირთა რაოდენობასთან (პირველი სამი არჩევანი) შედარებით.

პროგრამის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს ნებისმიერ პოზიციაზე, სადაც მოითხოვება ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, მათ შორის: მასობრივი ინფორმაციის ბეჭდურსა (გაზეთი, ჟურნალი) და სამაუწყებლო საშუალებებში (რადიო, ტელევიზია), ინტერნეტ-გამოცემებში, საინფორმაციო სააგენტოებში, სახელმწიფო თუ ბიზნესორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პრესსამსახურში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, ან/და გააგრძელოს სწავლა შემდგომ საფეხურზე.

საბაკალავრო პროგრამის მნიშვნელოვანი მდგენელია მულტიმედია ცენტრი, რომელიც სტუდენტების და პროფესორების ერთობლივი პრაქტიკული საქმიანობის მთავარ ბაზას წარმოადგენს. მულტიმედიური სივრცე დახელოვნების საშუალებას იძლევა: მომზადებული პერსონალი და ინფრასტრუქტურა (შენობის ორ სართულზე განთავსებული პროფესიონალური ტექნიკით აღჭურვილი რამდენიმე სტუდია, ნიუსრუმი, სარეჟისორო, საგრიმიორო, სამონტაჟოები, გაზეთის რედაქცია და ლაბორატორიები) ახალგაზრდების განკარგულებაშია. აღნიშნული სრულად იძლევა საშუალებას, მომავალი ჟურნალისტები პრაქტიკაში დაეუფლონ თანამედროვე პროფესიულ სტანდარტებს და იმუშაონ რეალურ სარედაქციო რეჟიმში. სტუდენტის, პროფესორებისა და პრაქტიკოს ჟურნალისტებთან თანამშრომლობით, ერთობლივად შექმნილი კონტენტის თვალის მიდევნება, ქართული არხების ეთერში, პრესისა და ელექტრონული მედიის საშუალებით მუდმივადაა შესაძლებელი. ბოლო 5 წელია, მულტიმედია ცენტრი აქტიურად მუშაობს დოკუმენტალისტიკაზე. პროდუქცია საქართველოს რეგიონული ტელევიზიებისა და აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით ვრცელდება.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ვიზიტი ჩატარდა წინასწარ განსაზღვრულ ვადებში (28-29.09.2021), შემოწმების ჰიბრიდული ფორმატით (ონლაინ-ინტერვიუები; მატერიალური რესურსების ადგილზე დათვალიერება).

ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფს გვქონდა წინასწარი მოსამზადებელი ონლაინშეხვედრა, სადაც განისაზღვრა მნიშვნელოვანი, აუცილებელი ასპექტები და შეკითხვები, რომლებიც გამოვიყენეთ ინტერვიუს დროს და დაგვეხმარა აკრედიტაციის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობის დადგენაში.

უნდა აღინიშნოს, რომ აკრედიტაციის ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული, კომისია მუშაობდა დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირობებში. ადმინისტრაციამ და აკადემიურმა შემადგენლობამ უზრუნველყო კომისიის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციისა და მტკიცებულებების ოპერატიული წარდგენა. იყო კოლეგიალური და კეთილგანწყობილი გარემო. ინტერვიუები მიმდინარეობდა დაუძაბავად და გულახდილად, რამაც კომისიას შესაძლებლობა მოგვცა მიგვეღო ამომწურავი პასუხები დასმულ კითხვებზე.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტთან დაკავშირებით უნივერსიტეტმა წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რაც რეკომენდაციების ნაწილში გაზიარებული იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ. კერძოდ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან მუშაობის გააქტიურების შესახებ რეკომენდაცია რჩევად გადაკვალიფიცირდა; ასევე მოიხსნა რეკომენდაცია -პრაქტიკის სასწავლო კურსით „ტელეგადაცემის მომზადება (პრაქტიკა სამაუწყებლო მედიაში)“ განსაზღვრული მედიაპროდუქტების ტიპის გამრავალფეროვნება.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**
  - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა -სრული შესაბამისობა;

- სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - სრული შესაბამისობა;
- სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა- -სრული შესაბამისობა;
- სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა --სრული შესაბამისობა;
- სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები --სრული შესაბამისობა.

რეკომენდაციები

- დაკორექტირდეს სამაუწყებლო მედია (რადიო) და სამაუწყებლო მედია (ტელევიზია) სილაბუსებში კურსების შედეგები, ან დავალებები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკაში სრულად იქნას ასახული პროგრამის მიზნები, რადგან აღნიშნული რუკა წარმოდგენს პროგრამის შეფასების პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან და საორიენტაციო დოკუმენტს.
- სასურველია, სწავლის შედეგები აღიწეროს აქტიური ზმნების გამოყენებით, მარტივად, მკაფიოდ, რაც გამორიცხავს მიღებულ ცოდნასთან დაკავშირებით სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და გაამარტივებს ობიექტურად შეფასების პროცესს.
- სასურველია, საკითხავი ლიტერატურის გამრავალფეროვნება, რათა არ მოხდეს კურსებს შორის გადაფარვა.
- სასურველია, პროგრამასა და თანდართულ დოკუმენტაციაში ცხადად ჩანდეს განსხვავება პრაქტიკასა და სასწავლო კურსებს შორის, რომლებიც ჟურნალისტიკის კონკრეტული მიმართულებების უნარ-ჩვევების განვითარებაზეა ორიენტირებული.
- სასურველია სამომავლოდ პროგრამის ხელმძღვანელობამ, სტუდენტებისათვის საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, გააძლიეროს საქმიანობა (პანდემიის შეზღუდვების მიუხედავად) პროგრამის განხორციელების პროცესში უცხოელი ლექტორების მოწვევისა და სულ მცირე, მოკლევადიანი ონლაინ კურსების ჩატარების მიმართულებით. აღნიშნული მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პროგრამის სტუდენტთა ცოდნის არეალის გაფართოებას და უზრუნველყოფს მათ დაინტერესებას საერთაშორისო პრობლემებითა და აქტუალური საკითხებით. ეს კი, თავის მხრივ საფუძველს დაუდებს სამომავლოდ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მხრიდან საუკეთესო მაგალითების ქართულ რეალობაში გადმოტანისა და ადაპტირების პროცესის წარმატებით განხორციელებას.
- სასურველია, შესაძლებლობის ფარგლებში, შესწავლილ იქნას ანალოგ პროგრამათა სასწავლო გეგმები (მიზნებისა და სწავლის შედეგების პარალელურად), რაც პროგრამის აკადემიურ პერსონალს შესაძლებლობას მისცემს ერთი მხრივ, უკეთ დაინახონ მსგავსება-განსხვავება ანალოგ პროგრამებთან, ხოლო მეორე მხრივ, წარმოდგენას შეუქმნის ადგილობრივ, რეგიონალურ თუ საერთაშორისო დონეზე/საგანმანათლებლო რუკაზე სად თავსდება წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა მისი მიზნებით, შედეგებითა და შინაარსით. ასევე, ჩვენი რჩევაა, ხარისხის

უზრუნველყოფის სამსახურმა მეტად გააქტიუროს მუშაობა პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, რათა პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის სრული და გაცნობიერებული ჩართულობით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, რეალისტურია, მიღწევადია და ასახავს იმ ცოდნას და უნარებს, რისკენაც არის პროგრამა ორიენტირებული. პროგრამის ზოგადი მიზანია თანამედროვე ჟურნალისტიკის სტანდარტების შესაბამისი პრაქტიკოსი ჟურნალისტის მომზადება, რომელიც აღჭურვილი იქნება, ერთი მხრივ, თანამედროვე მედიასივრცისა და, მეორე მხრივ, ბაზრის მოთხოვნების შესატყვისი თეორიული ცოდნით, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პრინციპებით, პროფესიული უნარ-ჩვევებით. კურსდამთავრებულს ექნება ინფორმაციის მოძიების, დახარისხებისა და ობიექტურად განზოგადების, ლოგიკური და ანალიტური (კრიტიკული) აზროვნების უნარი; პრაქტიკოსი ჟურნალისტისთვის აუცილებელი პროფესიული წერისა და ზეპირი მეტყველების კულტურა; თანამედროვე ციფრული მედიატექნოლოგიების ეფექტიანი გამოყენების უნარები; რესპონდენტთან ეთიკური ურთიერთობის უნარ-ჩვევები; ინფორმაციის წყაროებზე მუშაობის გამოცდილება; ფაქტისა და მოსაზრების გამიჯვნის, დებატების, დასაბუთებული დასკვნების გამოტანის, თავისუფალი კომუნიკაციის, მასალის პრეზენტაციის, ნებისმიერ სიტუაციაში ადაპტაციის უნარები. პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკაში, მიზნები არასრულადაა ასახული. კერძოდ რუკაში გამოტანილია მხოლოდ ე.წ. ქვემიზანი, ანუ მიზნის დეტალიზებული აღწერა, რომელიც მიესადაგება დარგობრივ უნარებს და რომელშიც ნაკლებად იკითხება დარგობრივი, თეორიული ცოდნის ნაწილი. აღნიშნულის შედეგად, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკის შესწავლის დროს იკვეთება, რომ პროგრამის პირველ და მეორე სწავლის შედეგს (1. „ჟურნალისტიკის დარგის ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს კომუნიკატივისტიკის ძირითად პრინციპებს, კონცეფციებსა და მეთოდებს“, 2. „აქვს ქართული და უცხოური ჟურნალისტიკის ისტორიის, დარგის განვითარების ძირითადი ეტაპების, პუბლიცისტიკის ქართველი და უცხოელი კლასიკოსების შემოქმედების, მათი ოსტატობის თავისებურებების, საქმიანობის მანერის, პროფესიულ მიღწევათა შესახებ ცოდნა“) სრულად არ შეესაბამება რუკაში წარმოდგენილი პროგრამის მიზნები. მას შემდეგ, რაც პროგრამის მიზნები სრულყოფილად იქნება რუკაში გადმოტანილი, აღნიშნული შეუსაბამობა აღმოიფხვრება. შესაბამისად, ჩვენი რჩევაა, რუკის

N5 დანართ დოკუმენტში სრულად იქნას ასახული პროგრამის მიზნები, რადგან აღნიშნული რუკა წარმოდგენს პროგრამის შეფასების პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან და საორიენტაციო დოკუმენტს.

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს დასაქმებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს (გამართული წერა და მეტყველება; ინფორმაციის წყაროებზე მუშაობის გამოცდილება (ინფორმაციის ვერიფიკაცია); თანამედროვე ციფრული მედიატექნოლოგიების ეფექტიანი გამოყენების უნარები და მისთ.); პროგრამის კურსდამთავრებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნით, დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით, ასევე ჩამოყალიბებული სამოქალაქო კულტურით შეძლებს თავისი წვლილი შეიტანოს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამის მიზანი გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

პროგრამის მიზანი საჯაროა და ხელმისავწდომია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

ევროპის წამყვან უნივერსიტეტებთან საერთაშორისო თანამშრომლობის გაზრდა - იტალიის, ესპანეთის, პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების უნივერსიტეტებსა და მათ კვლევით ცენტრებთან სამეცნიერო კავშირის განვითარება, კსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმის SWOT ანალიზში, ძლიერი მხარეების ჩამონათვალში აქვს აღნიშნული. უნივერსიტეტი ინტერნაციონალიზაციის პროცესის გაძლიერების და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ჯერ კიდევ დაბალი ცნობადობის ამაღლების შესაძლებლობას ხედავს რეფერირებულ ჟურნალებში აკადემიური პერსონალის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობის გაზრდაში, ქვეყნის შიგნითა და საზღვარგარეთის ქვეყნებიდან მზარდი პროფესიული პოტენციალის მქონე აკადემიური პერსონალის მოზიდვაში; ასევე სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვაში.

ინდიკატორები :

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისია;
- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2018 წ. – 2024 წ.);
- კსუ-ს ვებგვერდი;
- შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა კვლევა;
- ინტერვიუს შედეგები უსდ-ს ადმინისტრაციასთან, საგანმანათლებლო პროგრამისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან.

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკაში სრულად იქნას ასახული პროგრამის მიზნები, რადგან აღნიშნული რუკა

წარმოდგენს პროგრამის შეფასების პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან და საორიენტაციო დოკუმენტს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სწავლის შედეგებში მოცემულია ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები, რომელთა დემონსტრირებასაც ახდენს სტუდენტი პროგრამის დასრულების შემდეგ. წარმოდგენილი შედეგები შეესაბამება სფეროს სპეციფიკას, არის მიღწევადი, გაზომვადი და რეალისტური; კურსდამთავრებულს აქვს: ჟურნალისტიკის დარგის ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს კომუნიკატივისტიკის ძირითად პრინციპებს, კონცეფციებსა და მეთოდებს; ქართული და უცხოური ჟურნალისტიკის ისტორიის, დარგის განვითარების ძირითადი ეტაპების, პუბლიცისტიკის ქართველი და უცხოელი კლასიკოსების შემოქმედების, მათი ოსტატობის თავისებურებების, საქმიანობის მანერის, პროფესიულ მიღწევათა შესახებ ცოდნა; სოციალური მედიის სპეციფიკის, ჟურნალისტური პროდუქტის შექმნის და გავრცელების ბეჭდური და ციფრული ფორმების, ინტერნეტის, როგორც წყაროს, გამოწვევებისა და შესაძლებლობების ცოდნა. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება შრომის ბაზრისა და პროფესიით დასაქმების

სფეროების მოთხოვნებს; კურსდამთავრებულს აქვს ინფორმაციის მოძიებისა და გადამოწმების (სიზუსტის, საიმედოობის, ხელმისაწვდომობის, ფაქტებისა და მოსაზრებების გამიჯვნის, მოვლენათა სხვადასხვა რაკურსით წარმოდგენისა და ფაქტების დამახინჯების შესაძლო ნეგატიური შედეგების დადგენის) უნარი; შეუძლია სხვადასხვა ხასიათის (საინფორმაციო, ანალიტიკური, შემეცნებითი, გასართობი და სხვ.) მედიაპროდუქტის მოსამზადებლად სანდო წყაროს გამოყენება როგორც ბეჭდური, ისე სამაუწყებლო და ციფრული მედიისთვის; შეუძლია: მედიამულტიპლატფორმებისთვის მედიური ნაწარმოების შექმნა; გადაღება და აუდიო ჩაწერების გაკეთება; მარტივი აუდიო და ვიდეომონტაჟი; ბლოგპლატფორმების, სოციალური ქსელების და სხვა თავისუფალი რესურსების გამოყენება; ვებ-გვერდების ადმინისტრირება (ატვირთვა/ჩამოტვირთვა, გამოქვეყნება, თეგებისა და კატეგორიების განსაზღვრა და ა.შ.); აქვს პროფესიული ცოდნისა და კომპეტენციათა მუდმივად განახლება-განვითარების უნარი. კურსდამთავრებულს შეუძლია გადატვირთული ინფორმაციული ველის პირობებში დამოუკიდებლად პროფესიული ორიენტირება; პროფესიული ეთიკის, მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის პრინციპებით მედიაპროდუქტის დამოუკიდებლად შექმნა; კონცეფციის შემუშავების, თეზისის დასაბუთებისათვის აუცილებელ არგუმენტთა ავტონომიურად მოპოვება და გამოყენება.

საბაკალავრო პროგრამის შედეგები არ არის ფორმულირებული აქტიური ზმნებით, რაც მიღებულ ცოდნასთან დაკავშირებით სხვადასხვა ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა (განსაკუთრებით ცოდნა-გაცნობიერების ნაწილში) და შედარებით ფოკუსირებულია ნასწავლის შინაარსზე, ვიდრე სტუდენტის მიღწევაზე. ჩვენი რჩევაა, სწავლის შედეგები აღიწეროს მარტივად, მკაფიოდ, რათა ნათლად ჩანდეს, რისი შესრულება შეუძლია სტუდენტს. სწავლის შედეგები შესაძლებელია ჩამოყალიბდეს აქტიური ზმნებით და ასევე, თითოეული სწავლის შედეგისთვის სასურველია მხოლოდ ერთი ზმნის გამოყენება. სწავლის შედეგების ამგვარი ფორმულირება მნიშვნელოვნად გაამარტივებს ობიექტურად შეფასების პროცესს (იხ. 1. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი; 2. სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისა და დანერგვის პრაქტიკული სახელმძღვანელო, დ. კენედი, 2006 წ. რედ. 2014 წ.).

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. პსშ ფასდება პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდებით. პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირ შესაფასებლად გამოიყენება: სასწავლო და კვლევითი კომპონენტების დასკვნითი შეფასებები; შეფასების არაპირდაპირ მეთოდად გამოიყენება სტუდენტთა ანონიმური გამოკითხვა და ფოკუს შეხვედრები დაინტერესებულ პირებთან. პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებელი გეგმა და გრაფიკი დეტალურად არის გაწერილი, თანმიმდევრულია და გამჭვირვალეა.

პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის (სამიზნე ნიშნულია სტუდენტთა 70 %). სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, თუ რამდენად მიაღწიეს სწავლის შედეგს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად, რაც გულისხმობს, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის შინაარსის და/ან სწავლის შედეგების და/ან შეფასების სისტემის მოდიფიცირებას. დასტურდება, რომ სწავლის შედეგების შემუშავებაში მონაწილეობდა ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი, სტუდენტი,

კურსდამთავრებული, დამსაქმებელი); პროგრამაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ დაინტერესებული პირებისთვის სწავლის შედეგების გაცნობას. პროგრამის სწავლის შედეგები იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; • სასწავლო კურსების /კომპონენტების სილაბუსები; • შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა კვლევა; • თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუს შედეგები ხარისხის სამსახურისა და პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულთან.
რეკომენდაციები: ----
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია სწავლის შედეგები აღიწეროს აქტიური ზმნების გამოყენებით, მარტივად, მკაფიოდ, რაც გამორიცხავს მიღებულ ცოდნასთან დაკავშირებით სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და გაამარტივებს ობიექტურად შეფასების პროცესს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	V			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები ლოგიკურია, სამართლიანია, საჯაროა, შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის მქონე პირთა ჩართვას. კერძოდ, ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების ატესტატის მქონე საქართველოს მოქალაქეებს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე უნივერსიტეტში სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა თანხვედრაშია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესთან. პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა დასაშვებია სწავლების პირველი აკადემიური წლის დასრულების შემდეგ, წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის აქტით დამტკიცებული სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების / თანხმობის საფუძველზე. პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- http://www.ciu.edu.ge;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა ეყრდნობა ლიბერალური სწავლების თანამედროვე პრინციპებს, სტუდენტს სთავაზობს ჟურნალისტიკის სფეროს საბაზისო აკადემიურ ცოდნას და ამავდროულად, მას აძლევს თავისუფლებას, პროფესიული ორიენტირების მიხედვით აირჩიოს დარგობრივი დისციპლინები. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. პროგრამის მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამის ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელი ანუ 8 სემესტრია და მოიცავს 240 კრედიტს. პროგრამის სტრუქტურული დიზაინი კრედიტებში ასე გამოიყურება: სავალდებულო კომპონენტები: 177 კრედიტი, მათ შორის: საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები -22 კრედიტი; საფაკულტეტო (სოციალური მეცნიერებების) სავალდებულო სასწავლო კურსები - 15 კრედიტი; სპეციალობის (ჟურნალისტიკა) სავალდებულო სასწავლო კურსები – 140 კრედიტი; არჩევითი კომპონენტები 63 კრედიტი, მათ შორის : საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები – 10 კრედიტი; საფაკულტეტო (სოციალური მეცნიერებების) არჩევითი სასწავლო კურსები – 8 კრედიტი; სპეციალობის (ჟურნალისტიკა) არჩევითი სასწავლო კურსები – 25 კრედიტი; თავისუფალი კომპონენტები - 20 კრედიტი. არსებითად ასეთი დაყოფა აკმაყოფილებს ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამისადმი წაყენებულ მოთხოვნებს და ბაკალავრის ხარისხისთვის აუცილებელი კვალიფიკაციის მიღებას.

ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა შედეგენილია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამის საჭიროებების დადგენის მიზნით ჩატარებულია შრომის ბაზარის კვლევა და გამოკვეთილია პრიორიტეტები: სტანდარტების შესაბამისად ახალი ამბების მომზადება, ინფორმაციის გადამოწმება, გამართული წერა და მეტყველება, ჟურნალისტური პროდუქტისთვის ტექსტის მომზადება, ექსტრემალურ პირობებში მუშაობა, ტექნიკური და მულტიმედიური უნარების ფლობა. კვლევის შედეგები ასახულია პროგრამის შინაარსში.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების

მიღწევას. პროგრამა ორიენტირებულია სოციალური მეცნიერებების სფეროში, კერძოდ კი, ჟურნალისტიკის კონკრეტულ სპეციალობაზე, ბაკალავრის საქმიანობისთვის საჭირო კომპეტენციების მიღწევის უზრუნველყოფაზე. ამასთან, პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი სასწავლო კურსები სტუდენტს ძირითად კომპეტენციებთან ერთად უვითარებს ზოგად, დარგთაშორის (ტრანსფერულ)კომპეტენციებს პოლიტიკური, სოციალური და კულტურის მიმართულებით, თუმცა ვერ ფარავს ეკონომიკის სფეროს. ინტერვიუს სესიების დროს აღინიშნა, რომ თავისუფალი კრედიტების ფარგლებში სტუდენტს შეუძლია ეკონომიკის სფეროს სასწავლო კურსების დისტრიბუცია სხვა საგანმანათლებლო პროგრამებიდან. პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები (მათ შორის, თითოეული სასწავლო კურსი) არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული, შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ადეკვატურია. ინტერვიუს სესიებით დასტურდება, რომ პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობდა ყველა დაინტერესებული მხარე (დამსაქმებლები, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები). პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია კსუ-ს ვებგვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; ▪ თვითშეფასების ანგარიში ▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია; ▪ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და დამტკიცების წესი; ▪ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; ▪ პროგრამის სწავლის შედეგების სასწავლო კურსებთან ურთიერთკავშირის რუქა ▪ ინტერვიუს შედეგები დამსაქმებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან; აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ▪ კსუ-ს ვებგვერდი. https://ciu.edu.ge/menu/slug/Programs-1.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების წყობა და შინაარსი უზრუნველყოფს სტუდენტისთვის სფეროს სპეციალისტისთვის აუცილებელი თეორიული ცოდნის მიცემას და პრაქტიკული უნარების გამომუშავებას.

როგორც პროგრამის აღწერაშია აღნიშნული, პროგრამა თეორიულია, თუმცა, მეხუთე სემესტრიდან სტუდენტები პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს ივითარებენ სხვადასხვა დარგში - ბეჭდურ, სამაუწყებლო, ონლაინ მედიაში. პრაქტიკული პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება კონკრეტული კურსების ფარგლებში ხდება და ლოგიკური გაგრძელებაა მოცემულ სემესტრამდე გავლილი თეორიული კურსებისა. მაგალითად, „გაზეთის წარმოება“ და „ჟურნალის წარმოება“ აგრძელებს თეორიული - „ახალი ამბების ჟურნალისტიკა“ და „ბეჭდური მედია“ - კურსების ხაზს და წინა კურსებში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გარემოში გადმოტანის საშუალებას აძლევს სტუდენტებს. მეორე მხრივ, სპეციალობის სავალდებულო კურსები „სამაუწყებლო მედია (რადიო)“, რომლის სწავლება მეოთხე კურსზეა გათვალისწინებული და „სამაუწყებლო მედია (ტელევიზია)“, რომელიც მეხუთე კურსზე ისწავლება, ასევე ეყრდნობა და აღრმავებს სტუდენტის დარგობრივ ცოდნას, თუმცა, შინაარსიდან და შეფასების კრიტერიუმებიდან გამომდინარე, ეს ორი კურსი უფრო მეტად თეორიული ცოდნის გაღრმავებაზეა ორიენტირებული, ვიდრე პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე. ეს მოცემულობა საჭიროს ხდის, დაკორექტირდეს აღნიშნული კურსების შედეგები, ან პირიქით, დაკორექტირდეს დავალებების/გამოცდების ტიპი და ფორმა, რომ შესაძლებელი იყოს იმ უნარებისა და პასუხისმგებლობების (რადიოსიუჟეტის მომზადება, სატელევიზიო გადაცემის დამზადება) მიღწევა, რაც კურსების სილაბუსებში გვხვდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება სამაუწყებლო მედიის მიმართულებით შემდგომ ეტაპზე სხვა კურსებშიც ხდება და ნებისმიერი მიმართულებით

კორექტირება საბოლოო ჯამში პროგრამის შედეგებთან შესაბამისობას არ არღვევს.

ყველა სხვა შემთხვევაში, შესწავლილი დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ სასწავლო კურსების სწავლის შედეგები გაწერილია სილაბუსებში და შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და შედეგებს. სასწავლო კურსების კრედიტები, დათმობილი დრო და შინაარსი შესაბამისობაშია კურსის სწავლის შედეგებთან. სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა გამოთვლილია კურსის სპეციფიკის, თავისებურებებისა და მოცულობის გათვალისწინებით და შესაბამისად არის დაანგარიშებული საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო დრო.

სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა არის საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის წევრი და ჩართულია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში. სტუდენტებს საშუალება აქვთ ისარგებლონ ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების ელექტრონული ვერსიებით, ქსეროასლებითა და კომპაქტდისკებით. უნივერსიტეტი დარეგისტრირებულია ასოციაცია „ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისთვის“ – EIFL", მონაწილეთა კონსორციუმის წევრად რაც მას ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებზე წვდომას აძლევს. დღეისათვის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არსებობს ყველა სასწავლო კურსით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა, ბეჭდური სახით თუ ელექტრონულ მატარებლებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტებს თითოეულ სილაბუსში განსაზღვრული აქვთ როგორც სავალდებულო, ისე დამატებით საკითხავი ლიტერატურა, თუმცა, ზოგ შემთხვევაში, საკითხავი ლიტერატურა მეორდება. მაგალითად, მელვინ მენჩერის „ახალი ამბების გაშუქება და წერა“ ძირითადი საკითხავი ლიტერატურაა როგორც „ახალი ამბების ჟურნალისტიკის“, ისე „ბეჭდური მედიის“ კურსებისთვის და გადაფარვა ხდება ამ ორ კურსს შორის. ეს ნაწილობრივ ბუნებრივიცაა, რამდენადაც ქართულ ენაზე არსებული სახელმძღვანელოების არცთუ დიდი არჩევანია, თუმცა, შესაძლებელია სასწავლო მასალის გამრავალფეროვნება თუნდაც უკვე არსებული რიდერების პრაქტიკის საშუალებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან;
- ადგილზე დათვალიერების შედეგები (ბიბლიოთეკა; რიდერები).

რეკომენდაციები:

- დაკორექტირდეს სამაუწყებლო მედია (რადიო) და სამაუწყებლო მედია (ტელევიზია)

სილაბუსებში კურსების შედეგები, ან დავალებები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, საკითხავი ლიტერატურის გამრავალფეროვნება, რათა არ მოხდეს კურსებს შორის გადაფარვა. არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა, სწავლის შედეგების შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული და სამეცნიერო უნარების განვითარებას. პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით, საბაკალავრო პროგრამაში გათვალისწინებულია როგორც პრაქტიკული სასწავლო კურსები, ასევე პრაქტიკა. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, კერძოდ კი მულტიფუნქციური მულტიმედია ცენტრი, რომელიც აღჭურვილია მედიაპროდუქტის წარმოებისთვის თანამედროვე ტექნიკური და პროგრამული საშუალებებით, შესაძლებლობას იძლევა, ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტებმა ადგილზე გაიარონ

პრაქტიკული კურსები.

პროგრამის, თვითშეფასების ანგარიშისა და სილაბუსების შესწავლის, ასევე აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ პროგრამის პირველი ორი წლის განმავლობაში სტუდენტები იღებენ თეორიულ ცოდნას ჟურნალისტიკის სხვადასხვა დარგის შესახებ, ხოლო პრაქტიკული სასწავლო კურსების სწავლება და თავად პრაქტიკა გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამის V-VIII სემესტრებში.

პრაქტიკული სასწავლო კურსები გულისხმობს დარგობრივი ცოდნის გაღრმავებასა და პრაქტიკული უნარების გამომუშავებას როგორც ბეჭდვითი და აუდიო, ასევე სატელევიზიო და ონლაინ მედია პროდუქტის წარმოების მიმართულებით. პროგრამაში ასევე აღნიშნულია და მემორანდუმებითაც დასტურდება, რომ უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ტელე და რადიო სტუდიების გარდა, სტუდენტებს საშუალება ექნებათ პრაქტიკა გაიარონ მოქმედ მედიაორგანიზაციებშიც (საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო, საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია, საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნება“, პერიოდული ბეჭდური გამოცემა, ჟურნალი „თეატრი“, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, ჟურნალისტიკის რესურს-ცენტრი, მაუწყებელთა ალიანსი, ტელეკომპანია „ტოკ-ტვ“ და ა. შ. თუმცა მემურანდუმის მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებშია მითითებული, რომ პრაქტიკის წინ დაზუსტდება სტუდენტთა რაოდენობა თუ რამდენს შეუძლია სტაჟირების ამ ფორმით სარგებლობა. მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკული კურსები, რომლებიც ბოლო ორი წლის განმავლობაში ისწავლება, უზრუნველყოფს პროგრამის შედეგების მიღწევას, პრაქტიკის კომპონენტის აღწერა პროგრამაში მეტ სიცხადეს მოითხოვს, რომ ცხადად ჩანდეს განსხვავება პრაქტიკასა და სასწავლო კურსებს შორის, რომლებიც ჟურნალისტიკის კონკრეტული მიმართულებების უნარ-ჩვევების განვითარებაზეა ორიენტირებული და არ აჩენდეს კითხვებს მოქმედ მედიაორგანიზაციებში პრაქტიკის გავლის შემთხვევაში მიღებული გამოცდილების, შეფასებისა და კრედიტების მოცულობის შესახებ.

კურიკულუმით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტების გარდა, სტუდენტები ჩართული არიან ბეჭდური თუ ციფრული ფორმატის საუნივერსიტეტო გაზეთისა და ჟურნალის მომზადება-გამოცემაშიც: მოაქვთ ინფორმაცია, იღებენ ინტერვიუებს, ამზადებენ ტექსტურ და ფოტომასალებს, მონაწილეობენ დიზაინის შემუშავებასა და დაკაბადონებაში. ასევე, სტუდენტები, მულტიმედია ცენტრის სპეციალისტებთან თანამშრომლობით, ათავსებენ პროდუქციას მულტიმედია ცენტრის სოციალურ ანგარიშებზე: ფეისბუკსა (http://bit.ly/2FxOxFC) და ინსტაგრამზე (https://www.instagram.com/ciu.multimedia). სტუდენტთა პრაქტიკული ნამუშევრები სტუდენტურ ბლოგზეც იძებნება (http://multimedia.ciu.edu.ge/blog)

როგორც ზემოთ აღინიშნა, პროგრამა თეორიულია და, შესაბამისად, საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს ერთგვარ შემაჯამებელ სამუშაოს, რითიც მოწმდება სპეციალობაში სტუდენტის არგუმენტაციის, პრეზენტაციის, კომუნიკაციის, ანალიზისა და სინთეზის უნარები და, ასევე, პრობლემების ხედვის თუ შეფასების შესაძლებლობები. საბაკალავრო ნაშრომის წარმოება და შეფასება ხდება „საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და კომისიაზე დაცვის წესის“ შესაბამისად. ჟურნალისტიკის საგანმანათლებლო პროგრამის

საბაკალავრო ნაშრომი არის მცირეფორმატიანი კვლევა (თემის დამუშავება ხელმძღვანელის მეთვალყურეობით), რომლის მიზანია, გამოვლინდეს სტუდენტის ცოდნის დონის, შემოქმედებითი და კვლევითი უნარ-ჩვევების ხარისხის შესაბამისობა აკადემიური პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. ზოგადად ახალგაზრდების მეცნიერებაში ჩართვისა და მათი დაინტერესების მიზნით, უნივერსიტეტში ტარდება სამეცნიერო კონფერენციები, რომელშიც საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებიც მონაწილეობენ; ასევე შიდა საგრანტო კონკურსების ერთ-ერთი მოთხოვნა პროექტში ბაკალავრიატის სტუდენტის ან სტუდენტების ჩართვაა, სადაც ისინი კვლევითი პროექტის მაღალკვალიფიციურ აკადემიურ პერსონალის ხელმძღვანელობით ახორციელებენ კვლევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; • სასწავლო კურსების სილაბუსები; • საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის წესი; • ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან; • მემორანდუმები; • მულტიმედია ცენტრის სოციალური ანგარიშები და ბლოგი.
• **რეკომენდაციები:** ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, პროგრამასა და თანდართულ დოკუმენტაციაში ცხადად ჩანდეს განსხვავება პრაქტიკასა და სასწავლო კურსებს შორის, რომლებიც ჟურნალისტიკის კონკრეტული მიმართულებების უნარ-ჩვევების განვითარებაზეა ორიენტირებული.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება- სწავლის მეთოდების გამოყენებით; მეთოდები მოქნილია, თანხვედრაშია სწავლების საფეხურთან, კურსების შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სწავლის პროცესში გამოყენებულია სტუდენტზე, ქმედებასა და შედეგზე ორიენტირებული მეთოდები: ინტერაქტიული ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, რომლებიც თავის მხრივ მოიცავენ შემდეგ აქტივობებს: ახსნა-განმარტებას, ზეპირსიტყვიერს, შემთხვევების შესწავლას (Case Study), ჯგუფში (Collaborative) მუშაობას, დისკუსია/დებატებს, როლურ და სიტუაციურ თამაშებს, წერით მუშაობას, დემონსტრირებას, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას და სხვ. ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ პროფესორ-მასწავლებლები სწავლებისას ხშირად იყენებენ როლურ იმიტაციებს, იწვევენ დარგის ექსპერტებს/პრაქტიკოს ჟურნალისტებს სტუდენტებთან შესახვედრად; სწავლება-სწავლის მეთოდების შერჩევისას ითვალისწინებენ როგორც დარგის სპეციფიკას, ისე სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები.
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ, გამჭვირვალეა და თანხვედრაშია კანონმდებლობასთან. თითოეულ დისციპლინაში მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ შესაბამისი შეფასების სისტემით. უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა შეფასების 100-ქულიანი სისტემა, სადაც მაქსიმალური დადებითი შეფასებაა - 100 ქულა, მინიმალური დადებითი შეფასება - 51 ქულა. სტუდენტთა შეფასება მრავალკომპონენტიანია და ითვალისწინებს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასებებს. თითოეულ ელემენტს თავისი პროცენ-ტული წილი აქვს შეფასების საერთო სისტემაში. შუალედური შეფასება მოიცავს ყოველკვირეულ მიმდინარე შეფასებებს (40ქულა) და შუალედური გამოცდის შეფასებას(20 ქულა). დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა, შეფასების სისტემაში მისი ხვედრითი წილი მაქსიმუმ 40 ქულაა. სასწავლო კურსების სილაბუსებში მოცემულია შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციების ზღვარი, შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 25 ქულის ტოლია; დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი კი- 16 ის .

თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები შეესაბამება კურსის სპეციფიკას და უზრუნველყოფს თითოეული კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით. სასწავლო კურსებში ფასდება სემინარებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე აქტიურობა, საშინაო დავალებების შესრულება, კონკრეტული სიტუაციური ამოცანის ამოხსნაში მონაწილეობა, წერითი ქვიზების შესრულება, საშინაო დამოუკიდებელი დავალების, რეფერატების/პრეზენტაციების მომზადება, ინდივიდუალური თუ ჯგუფური პროექტები, საგაზეთო და ჟურნალის მასალები, რადიო და ტელე-სიუჟეტები, მეტყველების აპარატისა და ფოტოჟურნალისტიკის ცოდნა და მისთ. შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები გამოქვეყნებულია და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, სწავლის შედეგებზე, აგრეთვე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეებისა შედეგების გაუმჯობესების შესახებ. პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრება, თუმცა ინტერვიუმ აჩვენა, რომ ასეთი ქეისები იშვიათია.

ინტერვიუს სესიებით დასტურდება, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენების წესებს და მათი დანერგვისათვის იღებს მხარდაჭერას საუნივერსიტეტო სერვისებით და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ორგანიზებული ტრენინგებით, შეხვედრებითა და მისთ. შედეგების შეფასების გასაჩივრების წესებისა და სააპელაციო სისტემის შესახებ ასევე ამომწურავი ინფორმაცია მიეწოდება აკადემიურ პერსონალს პროგრამის წარმომადგენლებისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის მხრიდან. შეფასების შედეგების ანალიზი გამოიყენება სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის თანდართულ სილაბუსებში ასახული შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები;
- თვიშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, აკადემიურ, მოწეულ პერსონალთან, სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	V			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში ექსპერტთა მიერ ონლაინ შეხვედრების ჩატარების და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად დასტურდება, რომ სტუდენტები მოცემული პროგრამის ფარგლებში იღებენ ყველა იმ საჭირო დახმარებასა და კონსულტაციას რომელიც აუცილებელია სასწავლო პროცესის დასაგეგმად და განსახორციელებლად. მოცემულ პროცესში ჩართულნი არიან დეკანი, ფაკულტეტის აკადემიური პროცესის მართვის სამსახურის სპეციალისტი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი. ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი ერთობლივად უზრუნველყოფს სტუდენისა და კურსდამთავრებულისათვის ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებას როგორც უშუალოდ სწავლის პროცესთან დაკავშირებით, ასევე მათი შემდგომი პროფესიული ზრდის შესაძლებლობების თაობაზეც. უნივერსიტეტში წარმოდგენილი მექანიზმები, მაგ: ე.წ. „სტუდენტის ხმა“, რომელიც გულისხმობს სტუდენტის ანონიმურობის დაცვით მისი იდეებისა და მოსაზრებების გაზიარებას უნივერსიტეტის ადმინისტრაციისათვის, ასევე კურსების ყოველ-სემესტრული შეფასებები, შეხვედრები აკადემიურ პერსონალთან და პროგრამის წარმომადგენლებთან, საშუალებას აძლევენ სტუდენტებს მაქსიმალურად იქნას ასახული სწავლების გაუმჯობესების პროცესში მათი პოზიცია და მოსაზრებები.

ამასთანავე, სტუდენტებს საშუალება აქვთ აკადემიურ პერსონალთან, სილაბუსით გაწერილ ინდივიდუალურ საკონსულტაციო საათებში მიიღონ ყველა საჭირო დახმარება და ინფორმაცია. ხაზგასასმელია ის ეფექტიანი უკუკავშირი რომელიც არსებობს პროგრამის ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის. მოცემული მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად, სტუდენტთა გარკვეული წინადადებები ცალკეულ სილაბუსებისა თუ შეფასების პროცესთან მიმართებაში გათვალისწინებული და ასახული იქნა პროგრამის დახვეწის პროცესში. სტუდენტებს ასევე მხარდაჭერას უწევს კარიერის განვითარების სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის როგორც სწავლის პროცესთან, ასევე მათი შემდგომი კარიერული განვითარების საკითხების თაობაზე კონსულტაციების გაწევას. ხაზგასასმელია, რომ უნივერსიტეტი საშუალებას აძლკევს პროგრამის გამორჩეულ სტუდენტებსა და კურსდამტავრებულებს დასაქმდნენ ან/და სტაჟირება გაიარონ უნივერსიტეტის ბაზაზე დაფუძნებულ რადიო და ტელესტუდიებში.

აღსანიშნავია, რომ სტუდენტების ინფორმირების მიზნით ეფექტურად გამოიყენება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა Google Meet, ოფიციალური ელექტრონული ფოსტა, სატელეფონო კომუნიკაცია, სოციალურ ქსელებში შექმნილი ოფიციალური ჯგუფები და უნივერსიტეტის ოფიციალური ელექტრონული გვერდი. გარდა იმისა, რომ მოცემული საშუალებების გამოყენებით, სტუდენტები რეგულარულად იღებენ ინფორმაციას სასწავლო პროცესის მიმდინარეობის, სასწავლო მასალებისა და სხვადასხვა სახის აქტივობების შესახებ, მათ ასევე მოცემული საკომუნიკაციო სისტემის მეშვეობით მიეწოდებათ ინფორმაცია ჩატარებული, მიმდინარე და დაგეგმილი კონფერენციების, გაცვლითი პროგრამებისა და გრანტების თაობაზე. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში 2021 წლის განმავლობაში გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი გრაცის უნივერსიტეტთან, ხოლო ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები სამომავლო თანამშრომლობის თაობაზე ზალცბურგის უნივერსიტეტთან. როგორც ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, პროგრამის წარმომადგენლები გეგმავენ მოცემული მიმართულებით კოვიდ-პანდემიით გამოწვეული სტაგნაციის უარყოფითი შედეგების აღმოფხვრის მიზნით სხვადასხვა საერთაშორისო უნივერსიტეტებთან ახალი მემორანდუმების გაფორმებას 2022 წლის განმავლობაში. ხაზგასასმელია, რომ ინტერნაციონალიზაციის პროცესებში

სტუდენტის წარმატებით ჩართვის მიზნით, პროგრამა ასევე უზრუნველყოფს სასწავლო კურსის მეშვეობით სტუდენტებისათვის ინგლისური ენის გაძლიერებულ სწავლებას. სტუდენტს დამატებით ეძლევა შესაძლებლობა აირჩიოს და შეისწავლოს სურვილისამებრ მეორე უცხო ენაც, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო ზრდის საზღვარგარეთ პარტნიორ უნივერსიტეტებში სტუდენტთა სწავლის შესაძლებლობას. აქვე აღსანიშნავია, რომ პროგრამის წარმატებულ სტუდენტებს საშუალება აქვთ ისარგებლონ სხვადასხვა სახის ფინანსური წახალისების მექანიზმებით, კერძოდ სწავლის საფასურთან მიმართებაში დაწესებულია გარკვეული სახის შეღავათები, მოქმედებს სწავლის საფასურის გადახდის მოქნილი სისტემა, დაწესებულია ჯილდოები და გამოყოფილია დაფინასება კონფერენციებსა და კვლევით პროექტებში მონაწილეობისათვის. აღსანიშნავია ასევე, რომ მოცემული პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს საშუალება აქვთ გაიარონ სტაჟირება სხვადასხვა პარტნიორ მედია ცენტრებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ონლაინ-ვიზიტის შედეგები; • საგანმანათლებლო პროგრამა; • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; • ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფთან; • თანამშრომლობის მემორანდუმები; • სასწავლო კურსების სილაბუსები;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია სამომავლოდ პროგრამის ხელმძღვანელობამ, სტუდენტებისათვის საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, გააძლიეროს საქმიანობა (პანდემიის შეზღუდვების მიუხედავად) პროგრამის განხორციელების პროცესში უცხოელი ლექტორების მოწვევისა და სულ მცირე, მოკლევადიანი ონლაინ კურსების ჩატარების მიმართულებით. აღნიშნული მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პროგრამის სტუდენტთა ცოდნის არეალის გაფართოებას და უზრუნველყოფს მათ დაინტერესებას საერთაშორისო პრობლემებითა და აქტუალური საკითხებით. ეს კი, თავის მხრივ საფუძველს დაუდებს სამომავლოდ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მხრიდან საუკეთესო მაგალითების ქართულ რეალობაში გადმოტანისა და ადაპტირების პროცესის წარმატებით განხორციელებას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○

შეფასება
o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	v			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე

პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს აქვთ პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია და შესაბამისი კვალიფიკაცია, რაც დასტურდება აკადემიური ხარისხით, პრაქტიკული გამოცდილებითა და გამოქვეყნებული პუბლიკაციებით. როგორც აკადემიური პერსონალის, ასევე მოწვეული ლექტორების კომპეტენცია და კვალიფიკაცია თავსებადია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონმდებლობასთან. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევის პროცედურა არის გამჭვირვალე და შეესაბამება სტანდარტებს. ამისთვის უსდ-ს გააჩნია კონკრეტული გაწერილი წესები და პროცედურები. პროგრამაში ჩართულია 19 აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი. მათ შორის 3 პროფესორი, და 16 ასოცირებული პროფესორი, მოწვეულია 20 ლექტორი. აკადემიური პერსონალიდან, აფილირებულია 3 პროფესორი და 13 ასოცირებული პროფესორი. მათთან ფუნქციები, დატვირთვა და შრომის ანაზღაურება რანჟირებულია კანონმდებლობის შესაბამისად. კერძოდ, უსდ-ში მოქმედებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის 3 სახის რანგირების ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს შრომის ანაზღაურებას და სემესტრულად განახლებად დატვირთვის სქემას, რომელიც მოიცავს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და სხვა დატვირთვას მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე (მათ შორის აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის დატვირთვას ყველა იმ უსდ-ში, სადაც ის არის დასაქმებული); "აკადემიური პერსონალის რანგირების წესის" თანახმად, პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასება ხდება „პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემის (თვითშეფასების ფორმა)“ შესაბამისად. ბოლო 5 წლის განმავლობაში აკადემიური პერსონალის დენადობის მაჩვენებელია 5/11, მოწვეული პერსონალის- 8/19. აკადემიური და მოწვეული პერსონალის ამჟამინდელი თანაფარდობა (19/20), ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან (19/117) მიუთითებს, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი აკადემიური რესურსით, აკად. და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია პროგრამის აქტიური სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში; მათ შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. ვებგვერდის მასალებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიუს სესიებით დასტურდება, რომ აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი სწავლების გარდა ჩართულია სტუდენტების კონსულტირების და პროგრამის განვითარების პროცესებში, ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში. მისი კვალიფიკაცია დასტურდება შესაბამისი განათლებით და შრომებით ჟურნალისტიკის სფეროში. პროგრამის ხელმძღვანელი მუდმივად იღებს მონაწილეობას პროგრამის შეფასება-განვითარებაში, ჩართულია პროგრამის განხორციელებაში, მის მოდიფიცირებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში. პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილია სათანადო

რაოდენობის და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული (9)და დამხმარე პერსონალით(8); მათი კვალიფიკაცია შეეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობათა დაკავების წესი • აკადემიური პერსონალის რანგირების წესი • ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამაზე აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია • პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემა; • პერსონალის მართვისა პოლიტიკის და ეფექტიანობის ერთიანი წესი; • პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები; • აკადემიური/ მოწვეული პერსონალის CV; • სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის დაგეგმვისა და სტუდენტთა ჩარიცხვის წესი; • ინტერვიუს შედგები სამეცნიერო და მოწვეული პერსონალთან, საგანმანათლებლო პროგრამის, ხარისხის მართვის სამსახურის, სამეცნიერო კვლევითი დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი, რომლის მიზანია განსაზღვროს უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები, ამაზე პასუხისმგებელი პირები და შედეგების გამოყენების პროცედურა. ეს პროცედურა პერსონალს აფასებს ორი - პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კუთხით. პროცედურა სათანადოდ არის სტრუქტურირებული და სტანდარტებთან შესაბამისობაშია. აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შესახებ ინფორმაცია ყოველწლიურად ახლდება.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მოტივაციას; შემუშავებული აქვს ფუნდამენტური და მცირე გრანტების დაფინანსების სისტემა, ასევე 2017 წლიდან დაწესებული აქვს ყოველწლიური სამეცნიერო პრემია „თამარი“, რომლის მიზანია უნივერსიტეტის პერსონალის წახალისება აქტიური სამეცნიერო მოღვაწეობისთვის. წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში 2018 წელს განხორციელდა დარგობრივი კვლევა: ამერიკელი და საბჭოთა რეპორტიორი ქალების როლი მეორე მსოფლიო ომის გაშუქებაში: სამხედრო საკითხების გაშუქების სპეციფიკა მე-20 საუკუნის ჟურნალისტიკაში. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში ტარდება სამეცნიერო და სტუდენტური კონფერენციები (ხშირად გაერთიანებული). აკადემიურ პერსონალს აქვს საშუალება უნივერსიტეტის დაფინანსებით მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო კონფერენციებში და/ან გამოაქვეყნოს სტატია იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელისშემწყობი მატერიალური და ფინანსური რესურსები გათვალისწინებულია ფაკულტეტის ბიუჯეტსა და უნივერსიტეტის ბიუჯეტში, ასევე სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები;
- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის აკადემიური სამეცნიერო პერსონალის წახალისება და ხელშეწყობა ხარისხიანი სამეცნიერო კვლევების განხორციელებისთვის;
- მონაცემები კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის პროგრამის ფარგლებში წარმოებული აქტივობების შესახებ;
- პერსონალის მართვის პოლიტიკა და ეფექტიანობის წესი;
- პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემა;

- კვლევის შედეგების გამოყენების მექანიზმი პერსონალის მართვასა და განვითარებაში;
- სტატისტიკური მაჩვენებლები პერსონალის შესახებ;
- საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში, კვლევებსა და ღონისძიებებში პერსონალის ჩართულობის მაჩვენებელი (თვითშეფასების ანგარიში);
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტი; ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტი;
- აკადემიური აქტივობების დაფინანსების წესი.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ადგილზე დათვალიერების შედეგად დასტურდება, რომ საგანმანათებლო პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით, რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება: სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები; სტუდენტისა და აკადემიური პერსონალისთვის განკუთვნილი ბიბლიოთეკა; თანამედროვე სტანდარტების სამკითხველო დარბაზი, აღჭურვილი კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, საბიბლიოთეკო ფონდებთან მკითხველის თავისუფალი დაშვებით, იზოლირებული შეხვედრების ოთახებით, საკონფერენციო ოთახით და ბიბლიოთეკარების სამუშაო სივრცით. ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურას. ასევე, სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად. კომპიუტერული ბაზა - კომპიუტერული კლასების კომპიუტერებში ჩატვირთულია ვინდოუსის საოფისე პროგრამები და ასევე SPSS პროგრამა, რაოდენობრივი მასალების დასამუშავებლად და სტატისტიკური ანალიზის ჩასატარებლად .

უნივერსიტეტისა და პროგრამის განსაკუთრებულ მდგენელს წარმოადგენს მულტიმედიური სტუდია სრული ტექნიკური აღჭურვილობით: უახლესი აუდიო და ვიდეო აპარატურით, სამონტაჟო და ხმის ჩამწერი სტუდიით, მოძრავი ვიდეო აპარატურით, განათებით, ხმაურის დამხშობით და სხვა ტექნიკური საშუალებებით. სატელევიზიო სტუდია 80 კვ-მდე, ორი სართულის დონის, შიდა კიბით, სარეჟისორო კაბინით. ნიუსრუმი, რადიოსტუდია, ხმის ჩამწერი სტუდიები, ოთახები თათბირებისა და პრეზენტაციებისთვის, რედაქციები და სამონტაჟოები პრაქტიკული დახელოვნებისთვის. მულტიმედია ცენტრის ერთი-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების თანამშრომლობა. აქ წარმოებული პროდუქციის: გადაცემების, დოკუმენტური ფილმებისა თუ პერიოდული გამოცემების ერთ ნაწილს ახალგაზრდები გამოცდილ პრაქტიკოსებთან ერთად ქმნიან. ცენტრის ტექნიკური რესურსი საშუალებას იძლევა, სტუდენტებმა იმუშაონ როგორც პირდაპირი ეთერის რეჟიმში (ფუნქციონირებს სარეჟისორო პულტი, განათების უახლესი დანადგარები, სტუდიური და გარე-გადაღების კამერები და სხვ.), ასევე, ჩაწერონ და ვებგვერდზე განათავსონ თოქ-შოუები და გადაცემები. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის მულტიმედია ცენტრი რამდენიმე მიმართულებას აერთიანებს. ესაა: ბეჭდური მედია, რადიო, ტელევიზია, მულტიმედია და სხვ. თითოეული მიმართულება ქვემიმართულებებად იშლება და კონკრეტული ჟანრისა ან ფორმის პროექტებს აერთიანებს.
უსდ სათანადოდ უზრუნველყოფს სტუდენტებისა და პერსონალის უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის კოვიდ-პანდემიასთან დაკავშირებული გამოწვევების მხრიდანაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინფორმაცია კსუ-ს მულტიმედია ცენტრის შესახებ განთავსებულია შემდეგ ბმულზე: http://multimedia.ciu.edu.ge/?lang=ge

- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი დარეგისტრირებულია ასოციაცია "ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის" – eIFL", მონაწილეთა კონსორციუმის წევრად და მინიჭებული აქვს უფლება, გამოიყენოს შემდეგი ელექტრონული რესურსები: EBSCO Publishing
- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს საინფორმაციო სააგენტოს Associated Press - ის ვიდეომასალებზე წვდომაც.
- ინტერვიუს შედეგები მულტიმედიაცენტრის ხელმძღვანელთან, თანამშრომლებთან, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ პროგრამის სრულყოფილად განხორციელების, პროფესორ–მასწავლებელთა და სტუდენტთა პრაქტიკული თუ კვლევითი საქმიანობის მოტივაციის მხარდაჭერის მიზნით, ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს უნივერსიტეტის ბიუჯეტი. გარდა ამისა, ბიუჯეტი აქვს როგორც სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს, ასევე ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამას. საკუთარი ბიუჯეტი აქვს მულტიმედია ცენტრსაც.

უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა მიმართულია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მუდმივ განახლებაზე, მიმდინარე წელს მულტიმედიაცენტრისთვის შესყიდული იქნა ძვირადღირებული პროფესიონალური აპარატურა.

პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებულია გრანტების თანადაფინანსება; საგამომცემლო-სასტამბო, მთარგმნელობითი სამუშაობის, ასევე ადგილობრივ და საერთაშორისო სესიებზე, კონფერენციებსა და სემინარებზე პროფესორთა მონაწილეობის ხარჯები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტი;
- სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტი.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	V			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებს ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც დებულებით გათვალისწინებული კომპეტენციების ფარგლებში მონაწილეობას იღებს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შემდგომში კი მონიტორინგის, შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესებში. უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია ამავდროულად განსაზღვრულია ისეთი დოკუმენტებით როგორიცაა „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ და „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მათი ეფექტიანობის შეფასება“. აღნიშნული შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციები, თავის მხრივ, ეფუძნება და ითვალისწინებს უმაღლეს განათლებაში ხარისხის ევროპული და ეროვნული სააგენტოების მიერ შემუშავებულ სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს. კსუ-ში შემუშავებული შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“ პრინციპით მუშაობას, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის,

განხორციელებისა და შეფასების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის თანამონაწილეობას.

თვითშეფასების ანგარიშზე თანდართული დოკუმენტებით ირკვევა, რომ უნივერსიტეტში სისტემატიურად ხორციელდება სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების რეგულარული გამოკითხვებით. გარდა აღნიშნულისა, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების მიზნით, სისტემური სახე აქვს საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების შეფასებას, ლექტორების მუშაობის ეფექტიანობის შეფასებასა და სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის განხორციელებას.

ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ აკადემიური, მოწვეული პერსონალი და დამსაქმებლები ჩართულნი იყვნენ პროგრამის შემუშავებისა და შეფასების პროცესში. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესს ხელმძღვანელობდა პროგრამის ხელმძღვანელი, ხოლო შეფასების პროცესში აქტიურად მონაწილეობდა ხარისხის უზრუნველყოფს სამსახური.

წარმოდგენილი პროგრამის შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით ჩატარდა არაერთი აქტივობა, მათ შორის: სწავლის შედეგების შეფასების მიზნით განხორციელებულია სასწავლო კურსების აკადემიური მოსწრების ანალიზი (2019-2020, 2020-2021); ჩატარდა კურსდამთავრებულთა კვლევა (2019, 2020); განხორციელდა ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა (2019); შედგა მიზნობრივი სამუშაო შეხვედრები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან; პროგრამა გარე შეფასების მიზნით გადაეგზავნა გარე შემფასებლებს.

პროგრამის ხელმძღვანელთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან სააკრედიტაციო ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებებით დადასტურდა პროგრამის სააკრედიტაციო პაკეტის მომზადების პროცესში თანამონაწილეობა პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ერთად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მათი ეფექტიანობის შეფასება;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის სპეციალური ფორმები;
- პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელებული ცვლილებები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებული ანგარიშები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება კსუ-ში ძირითადად ხორციელდება ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცედურებით, რის შემდგომაც, უნივერსიტეტისა და საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალის მიერ ხდება მიღებული მონაცემების გაანალიზება და რეკომენდაციების გათვალისწინება. საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასების მიზნით უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო, პარტნიორ ექსპერტებთან და იყენებს მათ მიერ გამოთქმულ რჩევებსა და რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფისთვის. ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის გარე შეფასება განხორციელდა 4 უცხოელი და 1 ადგილობრივი ექსპერტის მიერ. ექსპერტების რეკომენდაციები გათვალისწინებულია პროგრამის კურიკულუმში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- გარე შემფასებლების დასკვნები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინაციით უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი და პერიოდული შეფასება დაინტერესებული მხარეების - აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების - ჩართულობით.

წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამისა და სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით პირველ ეტაპზე ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევა. დადგენილია შრომის ბაზრის ძირითადი ტენდენციები და ის კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა ფლობდეს ჟურნალისტიკის პროგრამის კურსდამთავრებული. ამასთან, კვლევაში გამოკვეთილია როგორც დასაქმებულთა მოთხოვნები და მოლოდინები, ისე დამოკიდებულებები უმაღლესი სასწავლებლებისა და მათ მიერ მოწოდებული სერვისებისადმი.

პარალელურად, პროგრამის შეფასების მიზნით მიმოხილულია როგორც საზღვარგარეთ არსებულ უნივერსიტეტებში, ისე ადგილობრივ საგანმანათლებლო სივრცეში არსებული ანალოგი პროგრამები. ანალოგ პროგრამებთან შედარების დოკუმენტიდან იკვეთება, რომ ძირითადად შესწავლილია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები და სწავლის შედეგები. ნაკლებადაა წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზი, რაც უფრო დეტალურ, სიღრმისეულ და ნათელ წარმოდგენას მოგვცემდა წარმოდგენილი პროგრამის ანალოგ პროგრამებთან მსგავსება-განსხვავების თაობაზე. სასურველი იქნებოდა, შესაძლებლობის ფარგლებში, შესწავლილიყო ანალოგ პროგრამათა სასწავლო გეგმები, რაც პროგრამის აკადემიურ პერსონალს შესაძლებლობას მისცემდა უკეთ დაენახა ადგილობრივ, რეგიონალურ თუ საერთაშორისო დონეზე/საგანმანათლებლო რუკაზე სად თავსდება წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა მისი მიზნებით, შედეგებითა და შინაარსით.

პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების შემდგომ ეტაპებზე გამოყენებულია სტუდენტთა ყოველსემესტრული გამოკითხვა აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და სასწავლო კურსის შეფასებასთან დაკავშირებით, პროფესორ-მასწავლებლების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და პოტენციური დამსაქმებლების გამოკითხვები. გამოკითხვებით მიღებული შედეგების გაანალიზების, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით შემდგომ ეტაპზე განხორციელებულია პროგრამის კურიკულუმის და მასში შემავალი სასწავლო კურსების განახლება და მოდიფიცირება.

გარდა აღნიშნულისა, ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულია ბოლო 2 წლის აკადემიური მოსწრების ანალიზი, სასწავლო კურსების და მათი განმახორციელებელი პერსონალის შეფასებები. ამ უკანასკნელთა შეფასება ჩატარდა მონიტორინგის გზით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მიერ წინასწარ შემუშავებული გეგმისა და კრიტერიუმების მიხედვით.

პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების პროცესში აქტიურადაა ჩართული პროგრამის ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელმა გასაუბრებისას გამოავლინა მაღალი ცნობადობა როგორც პროგრამის შემუშავების, ისე მისი შემდგომი მონიტორინგისა და შეფასების პროცესებთან თუ მექანიზმებთან დაკავშირებით. იკვეთება მისი აქტიური ჩართულობა თვითშეფასების დოკუმენტის მომზადების პროცესშიც. რაც შეეხება

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, ისინი შედარებით ნაკლებად იცნობენ (განსაკუთრებით მოწვეული პერსონალი) პროცედურულ თუ შინაარსობრივ აქტივობებს აღნიშნული მიმართულებით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ამ მიმართულებით სასურველია მეტად გააქტიუროს მუშაობა, რათა პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება განხორციელდეს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის სრული და გაცნობიერებული ჩართულობით.

აღსანიშნავია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მიერ საგანმანთლებლო პროგრამების შეფასებისა და მონიტორინგის პროცესები გამართული იყო covid-19-ით გამოწვეული პანდემიის პირობებშიც. ამ მიზნით, პირველ ეტაპზე უნივერსიტეტმა შეიმუშავა ელექტრონული სწავლების წესი; ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სამსახურის მიერ პროფესორ-მასწავლებელთათვის მომზადდა საინფორმაციო ტიპის ვიდეო გაკვეთილები, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მოახდინა აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის ფორმების მოდიფიცირება, რომელთა გამოყენებითაც ჩატარდა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა, განხორციელდა შედეგების ანალიზი და შეფასება.

○

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსები;
- ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- მედიისა და მასობრივი კომუნიკაციის სფეროში დასაქმების ბაზრის კვლევის ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამის ანალოგ პროგრამებთან შედარების დოკუმენტი;
- სტუდენტთა სწავლის შედეგების მონიტორინგის მექანიზმები და ანალიზი;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები (პსშ), მოქმედი პროგრამისთვის;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში მოქმედი პროგრამისთვის;
- მოდიფიცირებული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები (პსშ);
- მოდიფიცირებული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
- სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი პროგრამის განვითარების მიზნით და შედეგების გამოყენების ანგარიში;
- „ელექტრონული სწავლების წესი“;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, ელექტრონული სწავლების პროცესის შესაფასებლად შემუშავებული დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის ფორმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებული ანგარიშები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევა ონლაინ სწავლებასთან დაკავშირებით;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, შესაძლებლობის ფარგლებში, შესწავლილ იქნას ანალოგ პროგრამათა სასწავლო გეგმები (მიზნებისა და სწავლის შედეგების პარალელურად), რაც პროგრამის

აკადემიურ პერსონალს შესაძლებლობას მისცემს ერთი მხრივ, უკეთ დაინახონ მსგავსება-განსხვავება ანალოგ პროგრამებთან, ხოლო მეორე მხრივ, წარმოდგენას შეუქმნის ადგილობრივ, რეგიონალურ თუ საერთაშორისო დონეზე/საგანმანათლებლო რუკაზე სად თავსდება წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა მისი მიზნებით, შედეგებითა და შინაარსით. სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მეტად გააქტიუროს მუშაობა პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, რათა პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის სრული და გაცნობიერებული ჩართულობით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	v			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
ჟურნალისტიკის საგანმანათლებლო პროგრამა

ბაკალავრიატი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 44

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	V			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	V			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	V			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	V			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	V			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ნინო შოშიტაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ანა ქეშელაშვილი 

ქრისტინე ჩიხლაძე

ნანა ფირცხელანი